

კოალიცია “მედიის ადვოკატირებისთვის“

კომენტარები და მოსაზრებები „ღია მთავრობის თანამშრომლობის“ საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით

„ღია მთავრობის თანამშრომლობის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://www.opengovpartnership.org/ogp-action-plan-template>) გამოქვეყნებული მოთხოვნების შესაბამისად წევრი ქვეყნების სამოქმედო გეგმები სამი ნაწილისგან უნდა შედგებოდეს.

1. სამოქმედო გეგმის შესავალი ნაწილში აღწერილი უნდა იყოს თუ რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის ღია მთავრობის ინიციატივაში ჩართვა და ქვეყნისთვის რა სტრატეგიული გამოწვევების გადაჭრას ემსახურება შემუშავებული სამოქმედო გეგმა.
2. სამოქმედო გეგმის მეორე ნაწილში აღწერილი უნდა იყოს ის მიღწევები რომლებიც გააჩნია ქვეყანას ღია მთავრობის დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად.
3. სამოქმედო გეგმის მესამე ნაწილი კი უშუალოდ იმ ვალდებულებების აღწერას უნდა დაეთმოს, რომელთა განხორციელებასაც წევრი ქვეყანა აპირებს მომავალი ორი წლის განმავლობაში.

ჩვენი აზრით, ჩვენს ხელთ არსებული საქართველოს სამოქმედო გეგმა განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების მხოლოდ პუნქტობრივი ჩამონათვალის ნაზავს წარმოადგენს და სამწუხაროდ არ ატარებს კონცეპტუალური დოკუმენტის ხასიათს. ამავე დროს შესამჩნევია ორი გარემოება:

1. სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებული პუნქტების დიდი ნაწილი რეალურად უკვე განხორციელებულია საქართველოს მთავრობის მიერ. შესაბამისად ჩვენის აზრით უპრიანი იქნებოდა მათი განთავსება სამოქმედო გეგმის იმ ნაწილში სადაც აღწერილი უნდა იყოს წევრი სახელმწიფოს მიერ ღია მთავრობის პრინციპებიდან გამომდინარე დღემდე გადადგმული ნაბიჯები;
2. „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ საქართველოს სამოქმედო გეგმა არსობრივად დაფუძნებულია 2010 წლის 14 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებულ საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაზე. შესაბამისად ვთვლით, რომ „ღია მმართველობის“ სამოქმედო გეგმის მხოლოდ ანტიკორუფციულ ფორმატში წარდგენა არ არის მართლზომიერი;

3. მესამე მნიშვნელოვანი გარემოება, რაც გამოვლინდა საქართველოს სამოქმედო გეგმის ანალიზისას, არის ის, რომ ჩამოყალიბებული პუნქტების უმეტესობა უფრო **კარგი მმართველობის (Good Governance)** სფეროს განეკუთვნება, ვიდრე **ღია მმართველობის (Open Governance)** სფეროს. რა თქმა უნდა, ღია მთავრობის კონცეფციის ხორცშესხმა თავისთავში გულისხმობს კარგი მმართველობის ინსტიტუციურ დანერგვასა და განვითარებას, მაგრამ თანამშრომლობის აღნიშნული საერთაშორისო ფორმატი, პირველ რიგში, **მიმართულია წევრ ქვეყნებში გამჭვირვალე და ჩართულობაზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებაზე.**

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამოქმედო გეგმაში შესატანია სტრუქტურული ცვლილებები. კერძოდ გეგმაში ჩამოყალიბებული ის პუნქტები, რომლებიც უკვე შესრულდა, რომელთა შესრულებაც უკვე განსაზღვრულია 2010 წლის საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის სამოქმედო გეგმით და ის დებულებები რომლებიც არ შეესაბამება „ღია მთავრობის თანამშრომლობის“ დეკლარირებულ პრინციპებსა და ამოცანებს არ უნდა იყოს ჩაწერილი საქართველოს სამოქმედო გეგმაში:

- „იუსტიციის სახლების“ კონცეფციის შემუშავება და რეალიზაცია - სხვადასხვა სერვისების გაერთიანება „ერთი “სივრცის“ პრინციპით.
- დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა და მონიტორინგი.
- საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება და დანერგვა.
- სპეციალური სასწავლო პროგრამის - „ეთიკა სახელმწიფო სამსახურში“ - შემუშავება და მისი სწავლება.
- ბიუჯეტის ელექტრონული პროგრამის შემუშავება.
- პროგრამული ბიუჯეტის ეტაპობრივი დანერგვა.
- საპრივატიზებო ობიექტების ელექტრონული ბაზის ფორმირება.
- ტენდერების განხორციელება ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
- ელექტრონულ აუქციონზე გადასვლა.
- კონტროლის პალატის განსაზღვრა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოდ და აღიჭურვოს იგი შესაბამისი მანდატით, უფლებამოსილებით ასევე ადეკვატური რესურსებით, რაც აუცილებელია პოლიტიკური პარტიების და საარჩევნო კამპანიების დაფინანსების ეფექტური კონტროლისასთვის.
- პოლიტიკურ პარტიათა შემოწირულობებზე ლიმიტების დაწესება.
- იურიდიული პირისათვის პოლიტიკური პარტიის დაფინანსების აკრძალვა.

- საკანონმდებლო ბაზის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს მედიის მფლობელებისა და ფინანსების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობას.
- კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით „კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის გამჭვირვალობის შესახებ“ განახლებული წესის შემუშავება.
- სადაზღვევო კომპანიების მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესახებ წესის დამტკიცება.
- მოსამართლეთა უვადო დანიშვნის მიზნით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელება.
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოქმედების არეალის გაფართოება (განვრცობა დანაშაულისა და ტერიტორიის მიხედვით).

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, საქართველოს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული ღონისძიებების შეფასების ინდიკატორებისა და დროის ჩარჩოს განსაზღვრა. აღნიშნული მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შეფასებისათვის.

ამავე დროს, „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ საქართველოს მთავრობის საქმიანობის, აღებული ვალდებულებების და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, რომ ინფორმაცია განთავსდეს პარტნიორობაში ჩართული სამთავრობო სტრუქტურების ვებ-გვერდებზე, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე და იყოს უფრო ადვილად მოძიებადი.

ასევე, საზოგადოების მეტი ჩართულობის და ასევე პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, კომუნიკაციის და ინტერაქტივის გასაზრდელად მოსახლეობასა და მთავრობას შორის „პარტნიორობა ღია მმართველობისთვის“ დაკავშირებულ საკითხებზე და მიწოდებული წინადადებების, რჩევების, კომენტარების, რეკომენდაციების და აზრების ღიაობის უზრუნველსაყოფად იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილი პლატფორმის (*თქვენი მოსაზრებები*) გახსნა და გამართული ინტერაქტივის (მოწოდებული წინადადებები და გაცემული პასუხები) ინფორმაციის გვერდზე ასახვა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პროაქტიული გამოქვეყნება

ჩვენის აზრით, საქართველოს სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ინიციატივა, რომლის წარმატებით განხორციელებაც ხელს შეუწყობს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თანამედროვე სტანდარტების დანერგვას.

ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა შესაძლოა ორ ნაწილად დაიყოს. პირველი ეხება ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით საკანონმდებლო დონეზე საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში (შემდგომში “ზაკ“-ი) და საჯარო სამსახურის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას. ხოლო მეორე, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში ჩვენ მნიშვნელოვნად ვთვლით შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

1. საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის (ინფორმაციის თავისუფლება) შესაბამისობაში მოყვანა ახალ სტანდარტებთან, კერძოდ:

- საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის, გაცემისა და მიღებისთვის აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და იმპლემენტაცია. ცვლილების შედეგად, საჯარო დაწესებულებებს უნდა დაეკისროთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა განცხადებების ელ-ფოსტისა და საკუთარ ვებ. გვერდზე არსებული ელექტრონული ფორმის საშუალებით მიღების/რეგისტრაციის ვალდებულება;
- აუცილებელია, რომ პროაქტიული გამოქვეყნების, როგორც აუცილებელი მოთხოვნის შემოსვლის პარალელურად, საკანონმდებლო დონეზე ზაკ-ს დაემატოს შესაბამის ნორმები, რომლებიც ნათლად განმარტავენ შემდეგ ტერმინებს:
 - ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდი (მაგ. ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალური ვებ-გვერდი – ინტერნეტში არსებული ვებ-გვერდი, რომლის დომენური სახელის რეგისტრანტსაც წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო.)
 - პროაქტიული გამოქვეყნება;
 - საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ელექტრონული ბაზა (მაგ. საჯარო მონაცემთა ელექტრონული ბაზა - საჯარო დაწესებულების ან საჯარო

მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები, რომელიც პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით განთავსებულია ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული საჯარო რეესტრი.
- გარდა ზემოთ აღნიშნული ტერმინებისა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების პარალელურად, ზაკ-ის შესაბამის ნორმებში შევიდეს ცვლილება და პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაზუსტდეს:
 - საჯარო ინფორმაციის ცნება (მაგ. საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული/გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, **აგრეთვე ადმინისტრაციულ ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე** განთავსებული და საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“);
 - გამოქვეყნება (მაგ. გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციული ორგანოს **ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებით** და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით);
- ვფიქრობთ, რომ ზაკ-ს უნდა დაემატოს შესაბამისი მუხლი (მუხლები), რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მუხლით (მუხლებით) განისაზღვრება ისეთი საკითხები, როგორიცაა:
 - ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება იქონიოს ოფიციალური ვებ-გვერდი;

- ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ხელმისაწვდომობის ძირითადი პრინციპები;
 - პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო ენის გარდა სხვა რომელიმე უცხო ენაზე (ენებზე) განსათავსებელი მინიმალური ინფორმაცია.
 - ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ზოგადი წესები (ინფორმაციის განთავსების სიხშირე, განახლების პერიოდულობა).
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის ახლებური განსაზღვრების დამკვიდრება (მნიშვნელოვნია დისციპლინარულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, ნორმის კონსტრუირება ისე მოხდეს, რომ შესაბამისი პირისათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელი იყოს არა მარტო დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილ განცხადებაზე ზოგადად წერილობითი პასუხის საერთოდ გაუცემლობის შემთხვევაში, არამედ, ერთმნიშვნელოვნად საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის და/ან მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით გაცემის შემთხვევაშიც.
- ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებები არ უნდა შეეხოს მხოლოდ დისციპლინარული პასუხისმგებლობის ფარგლებს. აუცილებელია, რომ გარდა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა განისაზღვროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახეც. აღნიშნული შემოთავაზება განპირობებულია იმით, რომ დღეს არსებული სამართლებრივი რეალობის ფარგლებში ისედაც შესაძლებელია დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება მითითებული მიზნით, თუმცა ის ნაკლებად ეფექტურია.);

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს საჯარო ელექტრონული სივრცის რეფორმირება:

- საქართველოს პრემიერ მინისტრის (ან საქართველოს პრეზიდენტის) ობრძანებულების პროექტის შემუშავება სახელმწიფო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ნუსხისა და გამოქვეყნების ტექნიკური სტანდარტების განსასაზღვრად;
- ადმინისტრაციული ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და ვებ-გვერდების ტექნიკური სტანდარტების ეტაპობრივი დანერგვა (**2012 წელი** - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობა, აჭარისა და აფხაზეთის მთავრობები და სამინისტროები, საქართველოს სამინისტროები, თვითმმართველი ქალაქები / **2013-2014 წწ** - საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო დაწესებულებები, გუბერნატორების ადმინისტრაციები, მარეგულირებელი კომისიები, თვითმმართველი ერთეულები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები);
- პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გარდა, ადმინისტრაციულ ორგანოებს უნდა დაევალოთ, **საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში** სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მონაცემების (Data Set) დამუშავება, შექმნა და გამოქვეყნება (მაგ. ინფორმაცია ჯანმრთელობის, დანაშაულისა და ბუნებრივი რესურსების შესახებ და სხვა) მოეთხოვოს ყველა საჯარო დაწესებულებას ამ მონაცემთა ჯგუფებიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საკუთარი ინიციატივით სამი თვის განმავლობაში; ასევე, საზოგადოებასთან კონსულტაციის გზით გეგმის შემუშავება დარჩენილი მონაცემების ექვსი თვის ვადაში საკუთარი ინიციატივით გამოქვეყნების თაობაზე;
- **ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში** სხვადასხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მონაცემების ხელმისაწვდომობის მიზნით ერთიანი მონაცემთა ელექტრონული ბაზის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა - www.data.gov.ge. ელექტრონულ რესურსზე საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს მონაცემები ადმინისტრაციული ორგანოების შესახებ (მათ შორის სსიპ-ის შესახებ), მათი ფუნქციებისა და ბიუჯეტის თაობაზე.
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ღიაობასთან დაკავშირებული ელექტრონული რესურსის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა - www.foia.gov.ge სადაც განთავსდება საჯარო

ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, 10 დეკემბრის ანგარიშები, გზამკვლევები და სხვა ინფორმაცია. აღნიშნულმა ვებ-რესურსმა, ამასთან ერთად, უნდა შეითავსოს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის ელ.პორტალის ფუნქცია, საიდანაც შესაძლებელი იქნება საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად გამოთხოვნა საქართველოს ყველა ადმინისტრაციული ორგანოდან;

- საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის ვებ-გვერდის ახალი მოდულის შემუშავება, მასზე განთავსებული სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ადვილად აღქმადი სტატისტიკური და კვლევითი კომპონენტის გამოქვეყნება;
- საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით და ღიაობის პრინციპებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი ელექტრონული რესურსის შექმნა, სადაც განცალკევებულად განთავსდება ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ან დაგეგმილი მასშტაბური სახელმწიფო პროგრამების/პროექტების, მშენებლობების, უცხოური გრანტებისა და ფინანსური დახმარების, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ხარჯთაღრიცხვის შესახებ - www.spending.gov.ge; *(ცალკეული ელ.რესურსის შემნის პრობლემატურობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია განთავსდეს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე);*
- საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების მინიმალური ტექნიკური და ინფორმაციული შიგთავსის მოთხოვნილებების **გზამკვლევის** შემუშავება, მათი შესაბამისობაში მოყვანა web 2.0 სტანდარტებთან (Guideline for External Use of Web 2.0);
- ბრძანებულების პროექტის შემუშავებამდე ჩვენ გთავაზობთ საქართველოს სამოქმედო გეგმის დანართში ჩიწეროს ის ინფორმაციული და ტექნიკური მოთხოვნები, რომლებიც აუცილებლად იქნება გათვალისწინებული ბრძანებულების პროექტში:

საჯარო ინფორმაციის მინიმალური ჩამონათვალი (ნუსხა), რომელიც უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე პროაქტიულ განთავსებას

ზოგად ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოს შესახებ

- ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების, საგარეო წარმომადგენლობების, ადმინისტრაციული ორგანოს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია: სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართი, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები);
- ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის სტრუქტურული ხე და ინფორმაციული აღწერა;
- ადმინისტრაციული ორგანოს საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართები, ადმინისტრაციული ორგანოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ფაქსის ნომერი;
- ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის (მათ შორის მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების, ადმინისტრაციული ორგანოს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების) მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი ან/და სხვა სამართლებრივი აქტი);
- ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში.

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება ადმინისტრაციული

- საჯარო დაწესებულების მიერ შემუშავებული ყოველწლიური დოკუმენტი სადაც გაცხადებული იქნება თვითეული საჯარო

ორგანოს ვებ-გვერდზე [www./
.gov.ge/foi](http://www.gov.ge/foi)

დაწესებულების გეგმები და ანგარიშები საჯარო დაწესებულების ღიაობასთან დაკავშირებით;

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი), თანამდებობა, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
- ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები;
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში და ამ ანგარიშების არქივი;
- ადმინისტრაციული ორგანოდან სზაკ-ის 40-ე და 37-ე მუხლის შესაბამისად შესული განცხადებების რეესტრი (განცხადების შინაარსი, თარიღი, გაცემული ინფორმაციის გვერდების რაოდენობა, რეაგირების შინაარსი - უარი, ნაწილობრივი, სრულყოფილი);
- ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სზაკ-ის 40-ე და 37-ე მუხლის შესაბამისად გაცემული განცხადებები;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სამუალება, ანალოგიურად საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ინტეგრირებული მოდულისა: <http://eservices.rs.ge/default.aspx?s=3&p=21>
- კვარტალურად გამოქვეყნებული სრული სია იმ ინფორმაციისა, რომელიც კლასიფიცირდა, როგორც „არასაჯარო“. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ყველა

	<p>შემთხვევისა და შესაბამისი საფუძვლის შესახებ, ასევე სრულ სიას იმ ინფორმაციისა, რომლის შესახებ მიღებული იქნა მოთხოვნა მათთვის „კომერციული საიდუმლოს“ კლასიფიკაციის მინიჭების თაობაზე.</p>
<p>ადმინისტრაციული ორგანოს გამგებლობაში არსებული საჯარო საინფორმაციო სისტემები, შეზღუდული მოხმარების საინფორმაციო სისტემების ჩამონათვალი, აღწერა და მოხმარების წესები</p>	<ul style="list-style-type: none"> ● მონაცემთა ბაზები, რეესტრები, და ა.შ.; ● საჯარო მონაცემთა ელექტრონული ბაზა; ● ელექტრონული საჯარო რეესტრი.
<p>ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული სტატისტიკურ ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ● მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას;
<p>ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ადმინისტრაციულ ორგანოში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი; ● ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი და კონკურსის ჩატარების წესი; ● საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები; ● საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა;
<p>ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებისა (ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებულ სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ყოველწლიური გეგმა; ● ყოველ კვარტალური ანგარიში; ● წლის ანგარიში; ● ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები.

<p>ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებულ ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული ბიუჯეტი; • ბიუჯეტის შესრულების ბალანსი/ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (ბიუჯეტის შესრულების ყოველ კვარტალური / წლიური ანგარიში); • ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა და კონკრეტულ საშტატო ერთეულზე სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულ/დამტკიცებულ ფინანსური განაკვეთები; • ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) საერთო ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო; • უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) საერთო ხარჯთაღრიცხვა; • საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია.
<p>სამართლებრივი აქტები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნორმატიული აქტები; • ინდივიდუალური აქტები; • მათ შორის შეზღუდული ინფორმაციის ინდივიდუალური აქტები (მიღების თარიღი, გასაიდუმლოების მოტივი, გასაიდუმლოების თარიღი, გასაიდუმლოებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა); • იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ს-დ ან მისი

	<p>თანამდებობის პირი (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები და ა.შ.</p>
ტექნიკური მოთხოვნები	
<p>ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდებზე არსებული მნიშვნელოვანი მონაცემი (დოკუმენტები, სამართლებრივი აქტები, გეგმები და სხვა) განთავსებული უნდა იყოს ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები). ● ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდებზე არსებული საბიუჯეტო დოკუმენტები, შესყიდვების ანგარიშები, სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს xls-ში ან ისეთი ფორმატში საიდანაც შეიძლება ინფორმაციის ფილტრაცია და სორტირება.

იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო დონეზე გაკეთდება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ვებ-გვერდზე განთავსებული და პროაქტიულად განახლებული ინფორმაცია აღარ დაექვემდებარება გაცემას, ამ ტიპის ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოვა ზაკ-ის 37-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც ყველას აქვს უფლება თავად აირჩიოს ინფორმაციის მიღების ფორმა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ადამიანთა იმ ნაწილს ვისაც წვდომა არ ექნება ინტერნეტთან, მსგავსი ჩანაწერი დამატებით პრობლემას შეუქმნის საჯარო ინფორმაციის მიღების პროცესში. შესაბამისად ჩვენ ვთვლით, რომ დაუშვებელია მსგავსი შეზღუდვის დაწესება.

ამავე დროს, მნიშვნელოვანია გაიწეროს საჯარო ინფორმაციის გაცემის ახალი პროცედურებიც. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ინფორმაციის მომთხოვნს აკმაყოფილებს ელექტრონულად მიღებული საჯარო ინფორმაცია და თუ განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია განთავსებულია ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე განცხადებაზე გაგზავნილ პასუხში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული მოთხოვნილი ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსების ზუსტი ადგილი, ანუ მთლიანი ბმული (მაგ. www.ministry.gov.ge/budget2012) და არ უნდა იყოს მითითებული ზოგადად ვებ-გვერდის დასახელება www.ministry.gov.ge.

შენიშვნა: კოალიციის წევრი ორგანიზაციები მნიშვნელოვნად მივიჩნევთ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების საინიციატივო ჯგუფის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტიდან დაჩქარებული წესით იქნეს გათვალისწინებული ის კონკრეტული საკითხები, რომლებიც შეეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალების რეგულირების სფეროს. აღნიშნული პროექტი შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით (დანართი 1).

სხვა მნიშვნელოვანი ინიციატივები

- **სამოქალაქო ჩართულობა**

სამწუხაროდ საქართველოს სამოქმედო გეგმის პროექტში თითქმის არ არის ასახული „ღია მთავრობის“ კონცეფციის ისეთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, როგორც არის საჯარო პოლიტიკაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული (G2C Government to Citizen) მნიშვნელოვანია, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მთავრობები ხელისუფლებაზე ორიენტირებულ მიდგომას ცვლიან საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომით, ისინი ქმნიან გარემოს, სადაც მოქალაქეები ჩართულნი არიან სამთვრობო საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შესაბამისად ჩვენ მნიშვნელოვნად ვთვლით რიგი ინიციატივების აქტიურ დანერგვას სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესების მიზნით:

- **ადმინისტრაციული ორგანოების ვებ-გვერდების ადაპტაცია web 2.0 მოთხოვნებთან**, მათზე ისეთი მოდულების ინტეგრაცია, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით მიაწვდინონ საკუთარი იდეები და მოსაზრებები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელებს, დააფიქსირონ საკუთარი მიდგომა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, მიიღონ პასუხები, მოხდეს იდეების საჯარო განხილვა;
- **საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიული გეგმების შემუშავება და გასაჯაროება** - საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტებმა უნდა შეიმუშაონ და გამოაქვეყნონ მოქალაქეებთან კომუნიკაციის სტრატეგიები, რომელიც მიმართული იქნება არა მხოლოდ მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, არამედ დაინტერესებული მოქალაქეების მეტ ჩართულობაზე

დაწესებულებების საქმიანობაში და შეფასებაში. ამავე დროს დაწესდეს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაწეული მომსახურების პერმანენტური და რეგულარული მონიტორინგი წინასწარ დადგენილი ინდიკატორების (მაგ. მომხმარებელთა კმაყოფილება მომსახურების დონით) საფუძველზე. მონიტორინგის და კვლევის შედეგები ყოველწლიურად გამოქვეყნდეს.

- **საჯარო დიალოგის ღია პლატფორმის შემუშავება www.opinions.gov.ge**, სადაც მიმდინარეობს ონლაინ განხილვები და კონსულტაციები, ქვეყნდება ელ-ჩართულობისთვის აუცილებელი მოვლენათა კალენდარი, შესაძლებელია მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირებისთვის კითხვების დასმა და პასუხების მიღება, ონლაინ ფორუმზე მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების განხილვა, მოქალაქეებს საშუალება აქვთ ინიცირება გაუკეთონ საკუთარ წინადადებებს, ხმა მისცენ/არ მისცენ კონკრეტულ გამოკითხვებს, ჩაერთონ მთავრობის მიერ ინიცირებული პროგრამების/პროექტების/სტრატეგიების განხილვაში;
- **პეტიციების ელექტრონული პლატფორმის დანერგვა www.petitions.gov.ge** აღნიშნული რესურსის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსურველის მიერ ელექტრონული პეტიციის ინიცირება. ხოლო შესაბამისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერების შეგროვების შემთხვევაში (მაგ. 10 000 ხელმოწერა) საზოგადოების მიერ დაყენებული საკითხი განიხილება შესაბამისი კომპეტენციის უწყების მიერ. განხილვის შედეგები ღიად გამოქვეყნდება და თან დაერთვება პეტიციის გვერდს.

- **ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაციის არქივირება (Electronic Record Management)**

ღია მთვრობის ერთ-ერთ ძირითად ინდიკატორად მიჩნეულია საჯარო დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობა. თანამდეროვე საჯარო სექტორის დოკუმენტბრუნვის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ელექტრონული სახით არსებული ინფორმაცია, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ისეთივე საჯარო ინფორმაციას, როგორც არის ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი. სამწუხაროდ საქართველოს რეალობაში ელექტრონული დოკუმენტაციის არქივირება და გასაჯაროება ფაქტობრივად არ ხორციელდება.

არქივების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით, ღია მთავრობის თანამშრომლობის საქართველოს სამოქმედო გეგმის ნაწილად შეიძლება დაიგეგმოს:

- ელექტრონული ფორმით არსებული საჯარო ინფორმაციის არქივირებისა და შასაბამისი სამართლებრივი ბაზის კონცეფციის შემუშავება და დანერგვა.

- **„მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივის“ (EITI) დანერგვა და განხორციელება საქართველოში**

საქართველოს მთავრობამ უნდა აიღოს ვალდებულება განახორციელოს „მოპოვებითი და ტრანზიტის გამჭვირვალობის ინიციატივა“ (www.eiti.org) - ეს არის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საერთაშორისო სტანდარტი, რომელსაც ბოლო წლებში მიუერთდა აშშ, ნორვეგია და სხვა მოწინავე ქვეყანა. ამ ინიციატივის განხორციელებით საქართველო გახდება პირველი ქვეყანა, რომელიც დანერგავს EITI-ს ტრანზიტის კომპონენტს (ყველა სხვა ქვეყანა, რომელიც მიერთებულია ამ ინიციატივას, აქვეყნებს ინფორმაციას მოპოვებით მრეწველობაზე, კერძოდ ნავთობისა და გაზის და ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებაზე). ამ ინიციატივის განხორციელებით საქართველო იქნება პილოტი ქვეყანა და მისგან მაგალითს აიღებენ სხვა სატრანზიტო ქვეყნები. ამავე დროს, გაუმჯობესდება ინვესტორთა ნდობა საქართველოს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამჭვირვალე სატრანზიტო ქვეყნის მიმართ და გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო ზოგადად.

- ამ ინიციატივის მხარდაჭერით, საქართველო იღებს ვალდებულებას ყოველწლიურად (წელიწადში ერთხელ) გამოაქვეყნოს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია: საქართველოს ტერიტორიის გავლით ოთხივე მილსადენით ტრანზიტად გატარებული ნავთობისა და გაზის მოცულობების და სატრანზიტო და სხვა გადასახადების სახით მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების შესახებ.

- **გამჭვირვალე საჯარო სამსახური**

- უნდა გაიზარდოს იმ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი ვისი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებიც ექვემდებარება დეკლარაციების საძიებო სისტემაში გამოქვეყნებას - www.declaration.ge (საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ყველა წევრი).
- უნდა შეიქმნას ქონებრივი დეკლარაციების მოულოდნელი აუდიტის სისტემა. წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს იმ ოფიციალურ პირთა რაოდენობა, რომლებსაც ჩაუტარდებათ აუდიტი. არც ერთი ოფიციალური პირი არ უნდა წარმოადგენდეს გამონაკლისს. შერჩეულ ოფიციალურ პირთა ვინაობა და ინფორმაცია აუდიტის შედეგების შესახებ უნდა გახდეს საჯარო.

- ვებ-პორტალზე არსებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები).
- გაუმჯობესდეს მამხილებლთა (whistleblowers) დაცვის კანონმდებლობა და ამასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ ორგანოთა შიდა სახელმძღვანელო პრინციპები.
- ზუსტად გაიწეროს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული საჯარო ინფორმაციის „კომერციულ საიდუმლოებად“ მიჩნევის პროცედურები, რათა აღიკვეთოს ისეთი შემთხვევები როდესაც კომერციული საიდუმლოების გრიფი დოკუმენტს ენიჭება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემდგომ. ანუ ყველა ინფორმაცია, რომელიც მისი მოთხოვნის მომენტში არ არის კლასიფიცირებული როგორც „კომერციული საიდუმლო“, უნდა გაიცეს დაუბრკოლებლად.
- საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მეხუთე თავის მეოთხე პუნქტის თანახმად “მთავრობის სხდომა როგორც წესი, დახურულია.” 2004 წელს ამ ჩანაწერით აიკრძალა ჟურნალისტების დასწრება მთავრობის სხდომაზე, რითაც ფაქტობრივად გასაიდუმლოვდა უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი აღმასრულებელ ხელისუფლებაში. მნიშვნელოვანია, აღნიშნული შეზღუდვების გაუქმება, რისთვისაც აუცილებლად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის რეგლამენტის მეხუთე თავის მეოთხე პუნქტში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - “მთავრობის სხდომა როგორც წესი ღიაა.”
- **სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გამჭვირვალობა**
 - სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ღიაობის მიზნით, სისტემაში არარეგისტრირებულ მომხარებელს უნდა მიეცეს წვდომა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ შესყიდვების გეგმებსა და ანგარიშებზე - www.tenders.procurement.gov.ge;
 - უნდა შემცირდეს ელექტრონული შესყიდვების სისტემის გვერდის ავლით შესყიდვების განხორციელების შემთხვევები. პრეზიდენტის, მთავრობისა და თბილისის მერის სარეზერვო ფონდებს უნდა მოეთხოვოთ შესყიდვების განხორციელება ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

- ვებ-პორტალზე არსებული მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები).
- **საჯარო ფინანსების გამჭვირვალობა**
 - ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს საბიუჯეტო ორგანიზაციების პროგრამული ბიუჯეტის შესრულების კვარტალური/წლიური ანგარიშების ხელმისაწვდომობა - www.mof.ge;
 - პროაქტიულად დაიბეჭდოს და გაავრცელოს ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, როგორცაა აუდიტის დასკვნები და ანგარიშები შესრულებული სამუშაოების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს საჯარო ბიბლიოთეკებში.
 - უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი სახელმწიფო საბიუჯეტო დოკუმენტის, მიმდინარე და წლის შემაჯამებელი ანგარიშების ონ-ლაინ რეჟიმში დროულად და თანმიმდევრულად ხელმისაწვდომობა.
 - მომზადდეს და ფართოდ გავრცელდეს „მოქალაქეთა ბიუჯეტი“ (Citizen's Budget), როგორც ონ-ლაინ, ასევე ბეჭდურ ფორმატში. ასლების სათანადო რაოდენობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა საჯარო ბიბლიოთეკაში (ან უზრუნველყოფილ იქნეს ბიბლიოთეკებში მათ ონ-ლაინ ვერსიებზე წვდომა).
 - შეიქმნას და მუდმივად განახლდეს ონ-ლაინ პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს მოქალაქეებს ნახონ გასული პერიოდის ბიუჯეტები, ცვლილებები შეიტანონ შემოთავაზებულ ბიუჯეტში და შეაფასონ ამ ცვლილებების გავლენა. მოქალაქეთა პრიორიტეტებით შერჩეული ბიუჯეტი წარედგინოს საქართველოს პარლამენტს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მომზადებული ბიუჯეტის დამატება.
- **კორუფციისაგან თავისუფალი და გამჭვირვალე კერძო სექტორი**
 - ინფორმაცია აუქციონების შესახებ საზოგადოებას მიეწოდოს დროულად და არსებითი დეტალების გათვალისწინებით (მაგ. ინფორმაცია საპრივატიზაციოდ გამოტანილი საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ), რათა პოტენციურ მყიდველებს, საერთაშორისო მყიდველების ჩათვლით, ჰქონდეთ აუქციონის ჩატარების თარიღამდე, აუქციონის საფუძვლიანი შეფასებისთვის საჭირო დრო და ინფორმაცია.

- **გამჭვირვალე კანონმდებლობა**
- ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივის ტექსტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ონ-ლაინ რეჟიმში კენჭისყრამდე მინიმუმ 72 საათით ადრე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინიციატივების ჩათვლით. პარლამენტში დაცულ იქნეს მოსმენებს შორის მინიმუმ 72 საათიანი შუალედი, ხოლო ინიციატივებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ონ-ლაინ რეჟიმში გამოქვეყნდეს შესაბამის მოსმენამდე 72 საათით ადრე. ყველა საკანონმდებლო ინიციატივა ონ-ლაინ რეჟიმში გამოქვეყნდეს როგორც ადამიანის, ასევე ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები).
- მთავრობის დაქვემდებარებაში არსებულ ბიბლიოთეკებსა და იუსტიციის სახლებში ხელმისაწვდომი იყოს წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად განახლებული ქართული კანონმდებლობის ბეჭდური ასლები, ან უზრუნველყოფილ იქნეს ინტერნეტსა და matsne.gov.ge - ზე წვდომა, რათა საქართველოს კანონების ტექსტები ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის.
- უფრო ხშირად განახლდეს დღის წესრიგების განყოფილება პარლამენტის ვებ-გვერდზე, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ საკომიტეტო მოსმენებში მონაწილეობის მიღების საშუალება. კომიტეტის მოსმენის დღის წესრიგში აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისი ბმულებით დაკავშირდეს შესაბამის კანონმდებლობასთან, რათა იგი ხელმისაწვდომი იყოს ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის.
- პარლამენტის საპროცედურო წესების 48.5-ე მუხლის შესაბამისად, კომიტეტების სხდომების დღის წესრიგის 2 დღით ადრე გამოქვეყნდეს პარლამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- შეიქმნას ონ-ლაინ სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნება მოქალაქეთა პეტიციები, სათანადო რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერებს დაგროვების შემდეგ, პირდაპირ საქართველოს პარლამენტს წარედგინოს განსახილველად (მაგ. www.petition.parliament.ge).
- **გამჭვირვალე სასამართლო სისტემა**
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დანერგილი სასამართლო გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზის ანალოგიურად - <http://prg.supremecourt.ge/>, ხელმისაწვდომი გახდეს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებათა მონაცემთა ბაზაც.

- მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის წევრი ორგანიზაციები მიველსამებით უზენაესი სასამართლოს მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების ბაზის შექმნას, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ბაზა არ აკმაყოფილებს გამჭვირვალობის სტანდარტებს. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოში დაცულ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ იქნა კანონქვემდებარე აქტის პროექტი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტების დაცვით ადგენს სასამართლოში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს, ასევე, ადგენს ფოტო, ვიდეო, აუდიო ჩაწერისა და სტენოგრაფირების წესებს. **აღნიშნული აქტის პროექტი შეგიძლიათ იხილოთ დანართის სახით (დანართი 2).**
- სასამართლო გადაწყვეტილებები ავტომატურად გამოქვეყნდეს ონ-ლაინ რეჟიმში როგორც ადამიანის, ასევე ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები).
- ყველა სასამართლო სხდომის ამსახველი პროტოკოლი და აუდიო/ვიდეო მასალა ავტომატურად გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსამართლე, ერთ-ერთი მოდავე მხარის ინიციატივით, პროცესს დახურულად აცხადებს.
- ინფორმაცია საპროცესო გარიგებებისა და ჯარიმების გზით მიღებული თანხების შესახებ ავტომატურად გახდეს საჯარო.
- ინფორმაცია ყველა სასამართლო სხდომის განრიგის შესახებ ავტომატურად გახდეს ხელმისაწვდომი ონ-ლაინ რეჟიმში ადამიანისა და ციფრულად წაკითხვად ფორმატში (machine readable format); მხარეებს გაეგზავნოთ შესაბამისი შეტყობინებები ელ-ფოსტისა და მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით. შეიქმნას ავტომატიზირებული ხმოვანი ცხელი ხაზი, რომელიც პროცესის ყველა მხარეს საშუალებას მისცემს გადაამოწმოს და დააზუსტოს შემდგომი მოსმენის თარიღი.
- შემუშავდეს უნიფიცირებული პროცედურები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის საკითხებზე სასამართლოში გადაგზავნილ საქმეებთან დაკავშირებით. სასამართლოს ყველა თანაშრომელს ჩაუტარდეს ტრენინგი ამ პროცედურების ირგვლივ, რათა შესაბამის შემთხვევებზე ერთგვაროვანი რეაგირება მოხდეს მთელი სასამართლო სისტემის ფარგლებში.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შემუშავდეს სასამართლოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების დადგენილები

პროექტი და განისაზღვროს სასამართლოთა ვებ-გვერდებზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მინიმალური ნუსხა:

<p>საჯარო ინფორმაციის მინიმალური ჩამონათვალი (ნუსხა), რომელიც უნდა დაექვემდებაროს სასამართლო ორგანოთა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე პროაქტიულ განთავსებას</p>	
<p>ზოგადი ინფორმაცია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შესახებ</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ; ● ინფორმაცია მოსამართლეთა შესახებ; ● საერთო საკონტაქტო ინფორმაცია; ● ინფორმაცია საქმიანობის შესახებ; ● ზოგადი ინფორმაცია სტრუქტურის შესახებ.
<p>ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება სასამართლოს ვებ-გვერდებზე www./court.gov.ge/foi</p>	<ul style="list-style-type: none"> ● საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი), თანამდებობა, საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; ● საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები; ● ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები; ● საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში და ამ ანგარიშების არქივი; ● სზაკ-ის 40-ე და 37-ე მუხლის შესაბამისად შესული განცხადებების რეესტრი (განცხადების შინაარსი, თარიღი, გაცემული ინფორმაციის გვერდების რაოდენობა, რეაგირების შინაარსი - უარი, ნაწილობრივი, სრულყოფილი); ● სზაკ-ის 40-ე და 37-ე მუხლის შესაბამისად გაცემული განცხადებები; ● საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის საშუალება, ანალოგიურად საქართველოს შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე ინტეგრირებული მოდულისა: http://eservices.rs.ge/default.aspx?s=3&p=21

	<ul style="list-style-type: none"> ● კვარტალურად გამოქვეყნებული სრული სია იმ ინფორმაციისა, რომელიც კლასიფიცირდა, როგორც „არასაჯარო“. აღნიშნული უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის ყველა შემთხვევისა და შესაბამისი საფუძვლის შესახებ, ასევე სრულ სიას იმ ინფორმაციისა, რომლის შესახებ მიღებული იქნა მოთხოვნა მათთვის „კომერციული საიდუმლოს“ კლასიფიკაციის მინიჭების თაობაზე.
<p>მონაცემები სასამართლოს საინფორმაციო რესურსების შესახებ</p>	<ul style="list-style-type: none"> ● მონაცემთა ბაზები, რეესტრები, და ა.შ.; ● საჯარო მონაცემთა ელექტრონული ბაზა; ● ელექტრონული საჯარო რეესტრი.
<p>ძირითადი კომპეტენციის სფეროში სასამართლოს საქმიანობის შესახებ ცნობები</p>	<ul style="list-style-type: none"> ● სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსის შესახებ ცნობები; ● სასამართლოთა მიერ შეგროვებული და დამუშავებული სტატისტიკურ ინფორმაცია; ● დისციპლინური პასუხისმგებლობის / წახალისების შესახებ ცნობები; ● მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები.
<p>სასამართლოს დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებულ ინფორმაცია</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ბიუჯეტის შესრულების ბალანსი/ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (ბიუჯეტის შესრულების ყოველ კვარტალური / წლიური ანგარიში); ● საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა და კონკრეტულ საშტატო ერთეულზე სამართლებრივი აქტის საფუძველზე განსაზღვრულ/დამტკიცებულ ფინანსური განაკვეთები; ● თავმჯდომარისა და მოსამართლეების ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები.
<p>სამართლებრივი აქტები</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ნორმატიული აქტები; ● ინდივიდუალური აქტები.
ტექნიკური მოთხოვნები	
<p>ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა</p>	<ul style="list-style-type: none"> ● ვებ-გვერდებზე არსებული მნიშვნელოვანი მონაცემი (დოკუმენტები, სამართლებრივი აქტები, გეგმები და სხვა) განთავსებული უნდა იყოს ციფრულად წაკითხვად ფორმატში - machine readable format (XML , JSON ან სხვა საშუალებები).

	<ul style="list-style-type: none"> • ვებ-გვერდებზე არსებული საბიუჯეტო დოკუმენტები, შესყიდვების ანგარიშები, სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს xls-ში ან ისეთი ფორმატში საიდანაც შეიძლება ინფორმაციის ფილტრაცია და სორტირება.
--	---

- **გამჭვირვალე პოლიტიკური სისტემა**

- პოლიტიკური პარტიებისათვის შეიქმნას ელექტრონული პლატფორმა, სადაც ისინი განათავსებენ ინფორმაციას საკუთარი შემოსავლების, ხარჯებისა და დაფინანსების შესახებ. პოლიტიკურ პარტიებს დაევალებულობს აღნიშნული ინფორმაციის რეგულარულად განახლება. ელექტრონულ პლატფორმაზე გამოქვეყნებული ინფორმაცია ავტომატურად გამოქვეყნდეს ადამიანისა და ციფრულად წაკითხვად ფორმატში (machine readable format) და ავტომატურადვე გადაეგზავნოს ცეესკოსა და კონტროლის პალატას.
- ინფორმაცია თითოეულ უბანზე რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ონ-ლაინ რეჟიმში, ინტუიციურ ვებ-ინტერფეისსა (intuitive web interface) და ციფრულად წაკითხვად ფორმატში (machine readable format). ციფრულ ვერსიაში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა მითითებული უნდა იყოს ცალ-ცალკე, თითოეული მისამართის მიხედვით.

კოალიცია “მედიის ადვოკატირებისთვის“ წევრები:

1. „საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია“
2. არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო საზოგადოებისათვის“
3. „საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია“
4. „რეგიონული მაუწყებლების ქსელი“
5. „ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია“
6. „მედიაკლუბი“
7. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“
8. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“
9. „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი“
10. ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“
11. „ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი“
12. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“
13. „ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი“
14. „JumpStart Georgia“